



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის
მერიის აპარატი

GEORGIA

STAFF OF THE CITY HALL OF
RUSTAVI MUNICIPALITY



N 02/6397
03/05/2018

6397-02-2-201805031905



factcheck.ge"-ის ანალიტიკოსს
ქალბატონ მანონი ბოკუჩავას
მის: ქ.თბილისი, მიცკევიჩის ქ. N27
ტელ: 598508510

ქალბატონო მანონი,

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის ოფიციალურ ელექტრონულ მისამართზე შემოსული თქვენი წერილის (რეგისტრირებული დოკუმენტი: N4042/02 19/04/2018) პასუხად, მოთხოვნის შესაბამისად წარმოგიდგენთ შემდეგი სახის ინფორმაციას:

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის წინაშე არსებული გამოწვევების გათვალისწინებით შემუშავდა, დაიგეგმა და განხორციელდა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის რეორგანიზაციის პროცესი. გაუქმდა მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პროტოკოლის სამსახური, რომლის ფუნქციებიც შეუერთდა მერიის აპარატს. ამავე სამსახურის უფლებამოსილებები დასაქმების ხელშეწყობის მიმართულებით გადაეცა მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის ეკონომიკის განვითარების განყოფილებას, რომელიც ქალაქის ეკონომიკური განვითარებისათვის საჭირო მნიშვნელოვანი პროექტების მომზადებისას/დაგეგმვისას ამ საკითხებზე მოახდენს ყურადღების გამახვილებას. მერიის ზედამხედველობის სამსახურს გამოეყო ტრანსპორტის კონტროლისა და ადმინისტრაციული ზედამხედველობის განყოფილების ნაწილი, ვინაიდან მიზანშეწონილად ჩაითვალა გაცემულ მშენებლობის ნებართვებზე ზედამხედველობა გაეწია იმავე სამსახურის განყოფილებას, ხოლო ტრანსპორტის კონტროლიც და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე ზრუნვის საკითხები მოქცეულიყო მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ფუნქციებში. სოციალური მომსახურებისა და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურში ჩამოყალიბდა განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული განვითარების განყოფილება, რომელმაც ეფექტური კოორდინაცია უნდა განახორციელოს აღნიშნული მიმართულებების მიხედვით განსახორციელებულ აქტივობებზე. რეორგანიზაციის მიზანს წარმოადგენდა მოქნილი ორგანიზაციული სტრუქტურის შექმნა,

საქართველო, რუსთავი 3700, კოსტავას 20 ტელ: (+995 341) 22 00 97

E-mail: municipality@rustavi.gov.ge Web: www.rustavi.gov.ge

20 kostava ave, Rustavi, Georgia, 3700. Tel: (+995 341) 22 00 97

ეფექტური კომუნიკაცია სტრუქტურულ ერთეულებს შორის, სამუშაოს ადეკვატური, ეფექტიანი მართვისათვის, ადამიანური რესურსის მართვის ეფექტური სისტემის ფორმირება და საბოლოო ჯამში ორგანიზაციული ეფექტიანობის გაზრდა. ორგანიზაციის განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი ფაქტორია მმართველობითი საქმიანობის გაძლიერება, ამ მიზნით რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში თითოეული სამსახურის კომპეტენციაში შემავალი ყველა სფეროს ერთიანი განვითარების და სტრუქტურული ერთეულების კოორდინაციის ხელშეწყობისთვის განხორციელდა მერის მოადგილეებს შორის ფუნქციების გადანაწილება სფეროების/დარგების მიხედვით (იხ. მერის სტრუქტურა). არსებული და საპროგნოზო გამოწვევების გათვალისწინებით მერიის სტრუქტურამ შესაძლებელია განიცადოს ცვლილებები ორგანიზაციული განვითარებისთვის.

2017 წლის 13 ნოემბრის თვიდან დღემდე ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ზრდასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ 2017 წელს ბიუჯეტი შეადგენდა 10 693 800 ლარს, ხოლო გათანაბრებითი ტრანსფერის 4 256 500 ლარის გაზრდის შედეგად 2018 წელს შეადგენს 14 950 300 ლარს. საქართველოს მთავრობის შესაბამისი განკარგულების საფუძველზე საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტისათვის გამოიყო 8 597 494 ლარი, რომელიც 2017 წელს შეადგენდა 6 508 400 ლარს. დანართის სახით წარმოგიდგენთ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის N136 განკარგულებას (PDF File).

2017 წლიდან განხორციელდა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული N10 საბავშვო ბაგა-ბაღის (გაერთიანების N10 ფილიალი) შენობის დემონტაჟი და ახლის აშენება. დღეის მდგომარეობით დასრულებულია ზემოაღნიშნული ფილიალის შენობის შიდა მოსაპირკეთებელი სამუშაოები და ინვენტარით აღჭურვა, მიმდინარე წლის მაისის თვეში განახლდება სასწავლო პროცესი. ახალი საბავშვო ბაგა-ბაღის აშენების შედეგად, ნაცვლად 4 სააღმზრდელო ჯგუფისა გაიხსნება 6 სასწავლო-სააღმზრდელო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს დამატებით 80 აღსაზრდელის მიღებას. მიმდინარეობს სამუშაოები N40 და N41 საბავშვო ბაღების სარინერისა და ტერიტორიის გზის საფარის, ამასთანავე N32 საბავშვო ბაღის შემოღობვის და მისასვლელი გზის მოსაწყობად.

მოქალაქეებისათვის დასაკანონებელი საცხოვრებელი ფართების პრობლემის გადაჭრის მიზნით, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიამ ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლების ჩართულობით, მოახდინა საკითხის/პრობლემის ადგილზე შესწავლა, ასევე, ჩატარდა შეხვედრები სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტო“-ს ქვემო ქართლის მომსახურების ცენტრის წარმომადგენლებთან და იმის გათვალისწინებით, რომ ფართების დაკანონების პრობლემა ძირითადად ფიქსირდება 2009 წელს სახელმწიფოს საკუთრებაში დაბრუნებულ მრავალბინიან საცხოვრებელ კორპუსებში (საერთო საცხოვრებლები), ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციის ორგანომ აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრის მიზნით, წინადადებით მიმართა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს. (იხ.დანართი)

ა(ა)იპ „რუსთავსერვის ცენტრი“ ყოველდღიურად ზრუნავს ქალაქის სისუფთავეზე, ხდება ქალაქის მთლიანი ტერიტორიის: ქუჩების, პარკების, სკვერების და სხვა საჯარო ადგილების დაგვა-დასუფთავება. თვეში ორჯერ სამსახური ახორციელებს შიდა ეზოების დაგვა-დასუფთავება. ა(ა)იპ „რუსთავსერვის ცენტრი“ უზრუნველყოფს შიდა ეზოებში არსებული საბავშვო გასართობი მოედნების, მწვანე ნარგავების, სანიაღვრე სისტემის მოვლა-

პატრონობას. ამასთანავე, პასუხისმგებელია ქალაქში არსებული გარე-განათების და მხატვრული მინათების სრულფასოვან ფუნქციონირებაზე. სამსახური მუდმივად ახორციელებს ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებული დაზიანებული სკამების აღდგენა-შეკეთებას და უზრუნველყოფს ქალაქის ინფრასტრუქტურის (ბორდიურების, დეკორატიული ღობეების, მოაჯირების, სკვერების, მოედნების) კეთილმოწყობას.

2017 წლის 13 ნოემბრიდან შეიცვალა 66 ერთეული M2 კატეგორიის სატრანსპორტო საშუალება. რაც შეეხება მუნიციპალურ ტრანსპორტს, დღეის მდგომარეობით ავტოტრანსპორტის საწარმოს ყავს მუშა მდგომარეობაში მყოფი 20 ერთეული ავტოსატრანსპორტი საშუალება. ექსპლუატაციის რეჟიმიდან გამოდინარე, გეგმიურად ხორციელდება ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეკეთება, განახლდა ავტობუსებში იატაკი და დასაჯდომი სკამები. ამასთანავე, განხორციელდა საწარმოს შიდა ტერიტორიის, ავტობუსების სარემონტო საამქროების და ფარეხების რემონტი, რამაც განაპირობა ავტოტრანსპორტისა და დასაქმებულთა უსაფრთხო გარემოსა და შრომითი პირობების გაუმჯობესება. ამავდროულად, აქტიურად მიმდინარეობს დონორი ორგანიზაციების მოძიება ავტოპარკის განახლებისთვის საჭირო ფინანსური რესურსის მოსაპოვებლად.

„ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2018 წლის პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 დეკემბრის #55 განკარგულების საფუძველზე მუნიციპალიტეტში მოქმედებს 27 პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს ქალაქ რუსთავში მცხოვრები და რეგისტრირებული მოქალაქეებისთვის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მიმართულების გარკვეული შეღავათების დაწესებას. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახური უზრუნველყოფს დასაქმების მსურველთა რეგისტრაციას ერთიან მონაცემთა ბაზაში, 2017 წლის ნოემბრის თვიდან დღეის მდგომარეობით დასაქმების თხოვნით ადმინისტრაციულ ორგანოს მომართა 75 მოქალაქემ. სამსახურის მიერ კერძო სექტორთან უშუალო კომუნიკაციით ხორციელდება ვაკანსიების მოძიება და შემდგომ მოქალაქეებისთვის შეთავაზება. დღეის შედეგებით აქტიური თანამშრომლობით რეგისტრირებული განცხადებებიდან 15 მოქალაქეა დასაქმებული. მერის მიღებებზე/შეხვედრებზე მოსული მოქალაქეებიდან დასაქმების თხოვნა დაკმაყოფილდა 14 შემთხვევაში.

უსახლკარო პირთა თავშესაფარი ფართით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, დაგეგმილია მე-11 მკ/რ-ში სოციალური საცხოვრისის მოწყობა, რომლის განსახორციელებლადაც 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილ იქნა 137 217 ლარი, ხოლო საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 918 295 ლარი. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დღეის მდგომარეობით მიმდინარეობს უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და თავშესაფარით უზრუნველყოფის სპეციალური წესის შემუშავება, რომელიც უახლოეს მომავალში დასამტკიცებლად წარედგინება ქალაქის საკრებულოს.


ქალაქ რუსთავში, კოსტავას გამზირის სრულ რეაბილიტაციასთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ 2019 წლისთვის მუნიციპალიტეტის მიერ იგეგმება კოსტავას გამზ N21-დან მეტალურგიულ ქარხნამდე მონაკვეთის რეაბილიტაცია, ამ ეტაპზე, აღნიშნულთან დაკავშირებით მიმდინარეობს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების პროცედურები.

ქალაქ რუსთავში ახალი სპორტული კომპლექსის მშენებლობასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ქალაქის მერის, მერიის შესაბამისი სამსახურის თანამშრომლებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდის წარმომადგენლებთან ერთად განხორციელდა კომპლექსის ასაშენებლად ტერიტორიის შერჩევა. შერჩეული ტერიტორია წარმოადგენდა საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს საკუთრებას, ხოლო 2017 წლის 01 დეკემბერს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს N1/1-3062 ბრძანების საფუძველზე საკუთრებაში გადმოეცა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის. დღეის მდგომარეობით მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ კომპლექსის ასაშენებლად მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები. (იხ. დანართი)

დანართი: „9“ PDF File

პატივისცემით,

ნინო ნიკოლავა



პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი